საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	80	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი : 27.05.2021 წ.

ალფაიძე თამარ

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		კანდიდატი არის კორექტული. თავის ფინანსურ ვალდებულებებს ის ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. სხვადასხვა დისციპლინური გადაცდომის გამო კანდიდატს არაერთხელ განესაზღვრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐		
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒		
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**15**	**25**	კანდიდატი მეტნაკლებად ფლობს კონსტიტუციურ სამართალს. ის მეტნაკლებად ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მიმართულებით. გასაუბრების მიმდინარეობისას არ

			გამოვლენილა კანდიდატის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ცოდნის დონე.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	25	კანდიდატს მეტნაკლებად გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი. მას აქვს 20-წლიანი პროფესიული გამოცდილება.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20	კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს გამართულად და თანმიმდევრულად, ამასთან მარტივი და გასაგები ენით, როგორც წერილობით, ისე ზეპირად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობის უნარი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა გამოავლინა განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები	14	15	კანდიდატი არის შორმისმოყვარე. მას გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	კანდიდატი ღია არის სიახლეების მიმართ, ამასთან მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი. გამოვლინდა, რომ ის პერიოდულად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებსა და სასამართლო პრაქტიკას თავისი სპეციალიზაციის ფარგლებში. კანდიდატი არცთუ ისე აქტიურად ესწრება პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი ეწევა აკადემიურ საქმიანობას. ის არის სხვადასხვა სამართლებრივი პუბლიკაციის ავტორი, ამასთან, უძღვება სალექციო კურსებს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში.
ქულათა ჯამი	80	100	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული		

	რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 35[1]-ე და 36[3]-ე მუხლების შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, თამარ ალფაიძის, შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ის სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, კერძოდ, მას უფიქსირდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულებები. კანდიდატი რეგისტრირებული არ არის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო წესების დარღვევისათვის დაკისრებიული ადმინისტრაციული სახდელი კანიდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი შესაბამისი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატის პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულებას, დამოუკიდებლობასა და სამართლიანობას დადებითად აფასებენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. კანდიდატს შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

	მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ანდა მხარდამჭერი. თუმცა, მან მიიღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა თავშეკავებულობა, კორექტულობა. ის თავის მოსაზრებებს აფიქსრიებდა ღიად და გამჭვირვალედ. მის კორექტულობას, კომუნიკაბელურობასა და თავისუფალ აზროვნებას დადებითად აფასებენ კანდიდატის რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ დაფიქსირებულა. კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა სამოქალაქო საქმეში: დავის საგანი - თანხის გადახდის დაკისრება. შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 აგვისტოს განჩინებით სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციის თანახმად, სხვადასხვა დისციპლინური გადაცდომის გამო (მათ შორის, საგამოცდო საკითხების უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა, სტუდენტთა დასკვნითი გამოცდის შეფასების შეცვლა, ლექციებზე დაგვანება) კანდიდატს დაეკისრა სხვადასხვა დისციპლინური პასუხისმგებლობა. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** როგორც უკვე აღინიშნა, თამარ ალფაიძე კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი თამარ ალფაიძე <u>სრულად აკმაყოფილებს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით თამარ ალფაიძის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

	• *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* **<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>** გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. კანდიდატის მსჯელობა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით უმეტესად იყო ზედაპირული და ნაკლებად დასაბუთებული. კანდიდატი მეტნაკლებად ფლობს კონსტიტუციურ სამართალს. ის მეტნაკლებად ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების მიმართულებით. თუმცა, მას გაუჭირდა სათანადოდ დასაბუთებული მსჯელობის განვითარება გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის ზღვართან დაკავშირებით. გასაუბრების მიმდინარეობისას არ გამოვლენილა კანდიდატის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ცოდნის დონე. კანდიდატმა ვერ განავითარა სათანადო მსჯელობა საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონთან დაკავშირებით და ა.შ.. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ კანდიდატი ნაკლებად იცნობს ეროვნულ თუ საერთაშორისო სასამართლო გადაწყვეტილებებს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. საბოლოო ჯამში, კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვებზე მსჯელობის შედეგად მან დამაკმაყოფილებლად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 74%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** თამარ ალფაიძეს აქვს 20-წლიანი პროფესიული გამოცდილება. მას ძირითადად აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. კანდიდატის სამართლებრივი პუბლიკაციების, გაცნობის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს გასაგები ენით, დასაბუთებულად და დამაჯერებლად. ნაშრომში აზრი გამოხატულია მკაფიოდ და ლოგიკური თანმიმდევრობით.

	<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u> კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად, თანმიმდევრულად, მარტივი და გასაგები ენით, როგორც წერილობით, ისე ზეპირად. მას აქვს ლოგიკური მსჯელობის უნარი. კანდიდატმა გამოავლინა განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. <u>პროფესიული თვისებები</u> კანდიდატი არის შორმისმოყვარე. მას გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი. <u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u> კანდიდატი ღია არის სიახლეების მიმართ, ამასთან მას გააჩნია თვითგანვითარების უნარი. გამოვლინდა, რომ ის პერიოდულად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებსა და სასამართლო პრაქტიკას თავისი სპეციალიზაციის ფარგლებში. კანდიდატი არცთუ ისე აქტიურად ესწრება პროფესიულ სასწავლო შეხვედრებს. კანდიდატის აკადემიური ნაშრომი იურიდიული მეცნიერების დარგში - "სამართალმცოდნეობის შესავალი" წარდგენილია საქართველოს ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად. <u>პროფესიული აქტივობა</u> კანდიდატი არის სხვადასხვა სამართლებრივი პუბლიკაციის ავტორი. ამასთან, ის ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.